

საბჭოთა

კომუნისტი

კავშირის

კომუნისტი


პარტი

„... ჩვენ თვადისჩინივით უნდა გავუფრთხიდეთ პარტიის ერთიანობას, კიდევ უფრო განვამტკიცოთ პარტიის განუყრელი კავშირი ხალხთან, აღვზარდოთ კომუნისტები და ყველა მშრომელი მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაური და გარე-შე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით“.

გ. გ. მაღნიშვილი

ლენინისა და სტალინის დროში
ხალხს წინ მიუძღვის დიდი პარტია,
აჩრდილს დოლარის ბნელ სამთავროში
ხელი ამაოდ აუმართია!

ისევ და ისევ ანათებს წყვილად
შუქი ბელადის ნათელ გონების!
მილიონერებს არ შეუძლიათ
სვლა შეაჩერონ მილიონების...



განმარტებული

ნ ი ა ნ ბ ი

ქუჩაში მიმავალ გაიოზს ვილაყამ მაგრად ვაპკრა მუჯ-
ლუგუნო. გამელელის თავხედობით აღშფოთებული გაიოზი შე-
ჩერდა და საჩხუბრად მომზადებულა უკან მიიხედა, — მის წინ
ახალგაზრდა, წარმოსადეგი კაცი იდგა და გულთანად ხარხა-
რებდა. გაიოზმა წარბები შეიკრა, ოდნავ წაიწია კიდევ წინ,
მაგრამ თვითონაც გაიღიმა და ბავშვობის მეგობრისკენ მკლავ-
გაშლილი გაქანდა. დიდი ხნის უნახავებმა გადაპკოცნეს ერთ-
მანეთი, გვერდზე მიდგნენ და საუბარი გააბეს. გაიხსენეს ბავ-
შვობა, სტუდენტობის წლები. მოჰყვენენ ამ მთისას, იმ მთისას
და ბოლოს, გაიოზის თხოვნით, მახლობელ სასაუზნეში შევიდ-
ნენ მოულოდნელი შეხვედრის აღსანიშნავ თითო ქიქა ლუ-
დის დასალევად.

გაიოზმა იცოდა, რომ მეგობარი სტალინგრადიდან იყო
ჩამოსული, ამიტომ ძალიან აინტერესებდა მასთან საუბარი.
ქიქას — ქიქა მოჰყვა, სადღეგრძელოს — სადღეგრძელო და მეგო-
ბრებმა ვერც კი შეამჩნიეს როგორ დაიცალა ლუდის ნახევარ-
ლიტრიანი ბოთლების გროვა.

— მაშ, საინტერესოა ახლა ვოლგა? — იკითხა სიმონის
ნაამბობით ალტაცებულმა გაიოზმა.

— ძალიან, ძალიან... არ დამანება სამინისტრომ თავი
და აქეთ ქარხნის მშენებლობაზე გამოგზავნა.

— მე კი სწორედ ვოლგაზე უნდა წავიდე, არხის მშენებ-
ლობაზე...

— ო, ვოლგაზე? მომილოცავს! ახლა იქ ყოფნას რა
სჯობია!.. ოჯახში როგორა ხარ, ოჯახში? შენ ამბობ, რომ
ტასიკო შინაური საქმეებით გაერთო?.. საკვირველია! მე კი მე-
გონა, როგორი სტუდენტიც იყო ინსტიტუტში, ისეთივე ენთუ-
ზიასტი იქნებოდა მისი დამთავრების შემდეგაც. საგნებს ის
ჩვენზე უკეთ აბარებდა, ხომ გახსოვს?

— არა, შენი ჰირიმი, ცოლი მე მაგისთვის კი არ შე-
მირთავს, რომ რვა საათი სადღაც სხვაგან გაატაროს... მე ყვე-
ლაფერი დროზე თუ არ დამხვდა, ჩემი ფიცხი ხასიათი ხომ
იცი...

— შინამოსამსახურე გეშოვათ.

— შინამოსამსახურის დამზადებულ სადილს რა შემაქ-
მევს... გარდა ამისა, ჩვენ ხომ 4 წლის ბავშვი გყავს... ერთი
სიტყვით...

— გასაგებია!.. — სიტყვა ჩამოართვა გაიოზს სიმონამ და
რატომღაც თითები აათამაშა მაგიდაზე, — მაშ, ოთხი წლის
ბავშვი გყავს უკვე... გოგონაა მგონი?

გაიოზმა დასტურის ნიშნად თავი დააქნია.

— იცოდე, დედამისს თუ დაემსგავსა შენი გოგონა, სა-
სიძოვებისგან მოსვენება არ გექნება!

— თუ ძმა ხარ, ოლონდაც დედამისს ნუ გამახსენებ და
თუ გინდა შენი გულსათვის ჰერზე ჩამოგვიკიდები.

სიმონმა გაკვირვებით შეხედა მეგობარს.

— რაშია საქმე?.. — იკითხა მან მცირე ხნის შემდეგ.

— არ ღირს ახლა მაგაზე ლაპარაკი... დავლიოთ! — თქვა
გაიოზმა და ქიქები ლუდით შეავსო.

— არაფერთარი სადღეგრძელო!.. შენ უნდა მითხრა რა
ამბავია თქვენს თავს...

— რამ გაგაფთორა, ისეთი არაფერია. გავიყარეთ მე და
ტასიკო.

— გაიყარეთ?

— არა, ფურტილულად ჯერ არ გავყრილვართ, მაგრამ
ისე კი... არ შეიძლება ჩვენი ერთად ცხოვრება იმიტომ, რომ...
არაფერი გვაქვს საერთო... ტასო ისე ჩამორჩა ამ ცხოვრებას,
რომ მე მასთან სალაპარაკო თემაც ვერ შემირჩევია, ჰოდა,
გადავწყვიტე...

— ნუთუ ტასიკო ცუდი მეუღლე გამოდგა?.. არა მჯერა,
ის ისეთი ადამიანია...

— ზოგიერთისათვის იქნება სამოთხეც ყოფილიყო, ჩემ-
თვის კი ჯოჯოხეთია... ნაბიჯი ვერ გადამიდგამს ჩემს ნებაზე,
გაგონილა ასეთი რამ?.. შემიკლა საყვედურებით, გვიან რად
მოდინხარ სახლშიო... ადამიანო, ვეუბნები, მატარებელი ამო-
ვარდება ხოლმე გრაფიკიდან ორი-სამი საათით, კვირაში რამ-

დენჯერმე მეც რომ შემავიანდეს პატარა, ამით რა დაშავ-
დება?.. ბავშვს რად არ წაიყვან დასვენების დღეს ცირკშიო?..
შენს ხელში თეატრის გზა დამავიწყდაო... ბიჭო, რაღაც ერთი
დასვენების დღე მაქვს კვირაში, სათეატროდ მცალია იმ დღეს?..

ეგლა მაკლია ახლა, მკლავში ხელი გავუყარო ტასიკოს
და შეეყვარებულევიტ გავყვე თეატრში. თვითონაც კარგად იცის,
რომ ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია, რომ ჩვენ სასვენით
უცხოვნი ვართ, მაგრამ რა გინდა... ქალების ამბავი არ იცი?..
რომ მოვუსვამ ვოლგაზე, რაღაც გროშები რომ ერგება, იმასაც
რომ აღარ მიიღებს, ენახავ რა გუნებაზე დადგება...

— უსინდისო!.. ახლა გერიდება ტასიკოს ცოლობა, როდენ-
საც ფეხზე დაგაყენა და მართლა ხალხში გავრია?.. ჩაკეტე ქა-
ლი, მოწყვიტე ცხოვრებას, წაართვი სულიერი სიმშვიდე და
წასვლითაც იმუქრები?.. წადი, წადი... ვინც ინანებს, იმასაც
ენახავ... — ხმამაღლა დაიყვირა უკვე სიმრავნისაგან აპარხლე-
ბულმა სიმონმა, ქუდს ხელი დაავლო და ქუჩაში გავარდა.

* * *

ამას წინათ, იმავე ქუჩაზე, დაახლოებით იმავე ადგილზე,
ასევე მოულოდნელად, ბავშვობის მეგობრები კვლავ შეხვდნენ
ერთმანეთს. ამჯერად მათი შეხვედრა მხოლოდ თავდაპირველი
მისალმებით განისაზღვრა. გაიოზს ეტყობოდა, სალაპარაკოდ
გაჩერებას არ აპირებდა, რადგანაც მისალმებისთანავე განაგრძო
გზა, მაგრამ სიმონი მას წინ გადაუდგა და გაიოზი იძულებით
შეჩერდა.

— სად გარბიხარ, გაიოზ?.. რამდენი ხანია ერთმანეთი
არ გვინახავს... როგორ ხარ, რასა იქმ?.. როდის ჩამოხველ?

— ეს არის ახლა ჩამოვედი. სამი წელი სამ საუკუნედ
მომეჩვენა, ვერ გავძელ... — ეხტიბარგაუტეხავად მოიბოდიშა
გაიოზმა.

— ალბათ, გეგმებია ისევ მიზეზი... — გაეღიმა სიმონს.
გაიოზს ყაყაროს ფერმა გადაჰკრა, პასუხისათვის მოემ-
ზადა, მაგრამ ეტყობა ენა ვერ დაიმორჩილა და დარცხვენილმა
სახე მოარიდა მეგობარს.

— რა ქენი, იდეალი იპოვნე? — განაგრძობდა ღიმილს
სიმონი.

გაიოზმა ქურდულად ახედა სიმონს და ისევ სწრაფად
იბრუნა სახე.

— ახლა რას აპირებ? — პირდაპირ იკითხა სიმონმა.

— მინდა სამუშაოზე მოვეწყო.

— ნამდვილად?

— ნამდვილად!..

— ერთ ქარხანაში ოსტატის თანამდებობაა თავისუფა-
ლი, წახვალ? დაიმსახურებ, დაგაწინაურებენ... ჯერჯერობით
კი... მაგრამ იცოდე, ყოყლოჩინობას სამუდამოდ უნდა გამო-
ემშვიდობო. შედეგი არცთუ ისე სასიამოვნოა. ხომ ასეა?.. წა-
ხვალ ოსტატად?..

— წავალ! — მტკიცედ განაცხადა გაიოზმა.

სიმონმა თვალბეჭით ჩახედა მეგობარს, უბის წიგნაკიდან
ფურცელი ამოხია, რაღაც დაწერა, ქალაღი რამდენიმეჯერ
გადაკეცა და გაუწოდა.


— აქ ქარხნის მისამართი წერია... ეცადე დღესვე ნახო
დირექტორი. უმჯობესია ახლავე მიხვიდე.

ერთი საათის შემდეგ გაიოზი დირექტორის მოსაცდელ
ოთახში იყო. მდივან ქალს დასტური სთხოვა და იგი კაბი-
ნეტისაკენ გაემართა. კარის სახელური მორიდებით მოსწია
და ოთახში შევიდა. მოულოდნელი სანახაობისაგან გაშტერე-
ბული, ქანდაკებასავით გაშეშდა. დირექტორის მაგიდასთან
ტასო იჯდა...

— გაიოზ!

— ტასიკო!

თითქმის ერთდროულად აღმოხდა ორივეს.



— მარჯვედ ვიმუშაოთ, ბიჭებო! ხენა-თხსვის წლევანდელი გეგმაც შევახრულოთ და შარშან რაც დავთხსეთ, ისიც ავილოთ!

უსხო ამბები უცხოეთიდან


რომა .ლამაზ მარიანას• ღასხინიან

— მერე რაო, გეწყინათ? რატომ უნდა გწყენოდათ?
 — მე კი არა, მთელ საფრანგეთს ეწყინა, თქვენო აღმატებულბავ! ეს ჩვენი რესპუბლიკის შეურაცხყოფაა, ასეთი გამოთქმები და ისიც მმართველი წრეების ჟურნალში, ეს ხომ...
 — „მმართველი წრეების ჟურნალში, მთავრობის ჟურნალში!“ დიდი ამბავი მომხდარა, თუ ამერიკის მმართველი წრეების ჟურნალში საფრანგეთის პარლამენტი გათათხსეს! რაო, როგორ წერია? „საფრანგეთის პარლამენტის მუშაობა გავს წარმოდგენას, რომელიც საძილე ოთახში უხამსი ფარსით იწყება. იქ ღამაზი მარიანა აყალბაყალს უტეხს მამაკაცს, სანამ ეს უკანასკნელი წინდის ყელში მილიონი დოლარის ჩეკს არ ჩაუდებს...“ ხა, ხა, ხა, ხა! კარგად არის ნათქვამი, სწორედ ზედგამოჭრილად!
 — კი, მაგრამ, თქვენო აღმატებულბავ, ეს ხომ საფრანგეთის გაღანძღვაა, ეს ხომ შეურაცხყოფაა!
 — კარგი, კარგი, ავიჩემებოთ რალაც უაზრო სიტყვები! რა შეურაცხყოფაა? აქ ხომ საფრანგეთი ღამაზ მარიანად არის გამოყვანილი! ღანა ქალს რომ უთხრა ღამაზი ხარო, — შეურაცხყოფა იქნება?
 — იმ მარიანას ხომ თქვენი ჟურნალი „მეძავს“ უწოდებს?
 — ახირებული ამბავია! ღანა მეძავი ღამაზი არ შეიძლება იყოს? თქვენ წარმოდგენა არ გქონიათ მხატვრულ შედარებებზე. აქ ხალასი სიმართლეა მხატვრულად წარმოდგენილი: მამაკაცი — ესე იგი ამერიკა, მილიონობით აოლარს, ესე იგი დახმარებას აძლევს საფრანგეთს, ანუ „ღამაზ მარიანას“ და, თქვენთვის გასაგები უნდა იყოს, რომ როცა მამაკაცი მარიანას ფულს აძლევს, მარიანამაც მამაკაცის სურვილზე უნდა გაიაროს!
 ნუ გაუჟვირდება „ნიანგის“ მკითხველს. ზემომოთხრობილი არც ხუმრობაა და არც გამოგონილი: ეს მოკლედ გადმოცემული ამბავია იმ დიდი სკანდალისა, რაც ამას წინათ ამერიკულ ჟურნალ „ლაიფში“ დაბეჭდილმა, საფრანგეთის შეურაცხყოფელმა სტატიამ გამოიწვია.

დაახლოებით ზემოაღწერილი სცენა მოჰყვა „ლაიფში“ მოთავსებული წერილის გამო საფრანგეთის ვაშინგტონელი ელჩის საპროტესტო ვიზიტს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში. მაგრამ, როგორც ვაზეთ „ფიგაროს“ ბუზლუნიდან ჩანს, ამერიკელი აგრესორები სულაც არ შეუწყუხებია არც განცხადებულ პროტესტს და არც ფრანგი ხალხის სამართლიან აღშფოთებას.

სოკხიანი საღილის თიორია

ღანავ მზიანი ამინდია. კვირა დღეს ღონდონის ქუჩას ნელა მიჰყვება ახალგაზრდა წყვილი. ვაჟის თვალბებში გრძობა ანთია, ქალის წამწამები მოკრძალებას დაუხრია. საღლაც დაწყებულ საუბარს განაგრძობენ.
 — რაო, როგორ თქვი, ტომ? — ცნობისმოყვარეობით ეკითხება ქალი, — საღილი ხორცისაგან უნდა დავამზადო ხოლმე? საღ, სიზმარში?
 — რატომ სიზმარში. აი, როცა ჩვენ ოჯახი გვექნება...
 — ღანა მარტო ოჯახია საჭირო ხორციანი საღილის მოსამზადებლად?
 — არა, ძროხის ხორციც.
 — მერე საღ არის ძროხის ხორცი? ინგლისში ხომ უკვე მთელი თაობა გაიზარდა, რომელსაც ხორცის გემო არ უნახავს, ყოველ შემთხვევაში, ხორციანი საღილი არ მოუშაღებია...
 ვაჟი სღუმს, პასუხს ეძებს და ბოლოს სიტყვას მოუჭრის:
 — მერე რა ვუყოთ, ძვირფასო! ინგლისშიც ხომ შეიძლება ადამიანური ცხოვრება დამყარდეს, ქალმა ოჯახის საქმე თეორიულად მაინც უნდა იცოდეს...
 ამ სიტყვებზე ქალი არ იცინის. არც ვაჟი იცინის, რადგან ორივემ კარგად იცის, რომ მათი ღამაზი ინგლისელთა ხუმრობის სფეროს კი არა, მწარე სინამდვილეს ეხება. წარმოიდგინეთ, ეს დანიურ ბურჟუაზიულ ვაზეთ „ბერლინგსკე აფტენავისსაც“ კარგად სცოდნია, რომელმაც ინგლისში ხორციან საქმელზე ოცნების შესახებ გულამაჩუყებელი ცნობები გამოაქვეყნა.



ჩვენს მეგზოვე აზიზას ამას წინათ რომ საქმე დაემართა, კაცი ადვილად ვერ იტყვის.

ვინ იცის რამდენი ცოცხი გაცვეთილა აზიზას ხელში. რამდენი ქათინაური გაუგონია ჩვენი ქუჩის მცხოვრებთაგან, და, გარდა ამისა, რამდენი ახირებული მოქალაქე ჩაუწერია მილიციის ანკეტაში დებოშისა და ქუჩაში უღროო დროს კონცერტის მოწყობის გამო!

მაგრამ მე რომ ახლა შემთხვევას ვიამბობთ, ეს, ალბათ, სიკვდილამდე ემასხოვრება ჩვენს აზიზას.

დილის შვიდ საათზე მთელი ქუჩა უკვე დაგვილი ჰქონდა; მხარზე ცოცხით და ხელში აქანდახით შინისკენ მიიბიჯებდა სასაუზმოდ, გუნებაში ლილინებდა. ტროტუარს აკვირდებოდა, ნაგავი ხომ არსად დამრჩაო და უხაროდა, რომ გამვლელ-გამომვლელებმა ცოტა ხანს აცალეს და ქუჩა ხელახლა დასაგველი არ გაუხადეს.

უეცრად თავზე დაქმუნილი ქალაღი დაეცა და ფეხებთან გაუგორდა. არ ესიაპოვნა. მალა აიხედა. ყველა ფანჯარა დაკეტილი იყო. ვერ გეტყვით რა ხარისხის საყვედური გაუგზავნა ამ ქალაღის გადმომგდებს. ქალაღი კი დონჯად აიღო ხელში, გაშალა და ზედ რალაცა დაწერილი შეამჩნია. ჩვენი აზიზა თავისი გვარისა და სახელის ქალაღზე დახატვასაც ძლივს ახერხებს და, აბა, ამ ნაწერს რა წააკითხებდა. წაკითხვა კი აუცილებელი იყო, რადგან ავტორის ვინაობამ მეტად დააინტერესა. ხომ უნდა სცოდნოდა რომელმა მდგმურმა სცა ასეთი სანიტპატივი!

კრიტიკის მკაცრი მომთხოვნელი

ნახ. გ. ფირცხალავას



— ყველგან კრიტიკა და თვითკრიტიკა გაჩაღებულა, თქვენ კი ხმას არ იღებთ, ხდუმხართ... ველარ გამიგია რა გემართებათ, რატომ ახლა მაინც არ მაკრიტიკებთ!...

გზაზე ვილაც შლაპიანი კაცი მოაბიჯებდა. აზიზამ ნასწავლად შეიცნო ეს კაცი, ქალაღი მიაწოდა და მიმართა:

— ჯანუმ, თუ ძმა ხარ, ეს ქალაღი წაიკითხე.

გამვლელმა ნაწერი ჩუმად წაიკითხა, უკან დაუბრუნა, გაიღიმა, გატრიალდა, ათიოდე ნაბიჯი გაიარა, ტროტუარიდან პაპიროსის ნაწივი აიღო, ურნაში ჩააგდო და გზა განაგრძო.

აზიზამ ახლა მეორე გამვლელს მიაწოდა ეს ქალაღი, პირველზე უფრო ახალგაზრდას, ამასაც ბოღიში მოუხადა და სთხოვა წაეკითხა.

— ყოჩაღ ბიძია! ეს ძალიან კარგი რამ მოგიგონია, მაგრამ ამხელა ქალაქში მარტო მე მნახე?!— უთხრა ახალგაზრდამ, ესეც უკან გატრიალდა, ოციოდე ნაბიჯის იქით ტროტუარიდან დაქმუნილი ქალაღი აიღო, მეგზოვეს გამოხედა, გაიღიმა და ქალაღი ურნაში მოაქცია.

კინაღამ გაბრაზდა ჩვენი აზიზა. დამცინიანო, გუნებაში გაიფიქრა, მაგრამ გამვლელების უცნაურმა საქციელმა გაკვირვების ნიშნად აქცია და დუმილის შემდეგ, წელში გაიმართა თუ არა, მის წინ მდგომმა საგაზეთო კიოსკისოდენა დედაკაცმა ზევიდან თვალები დაანათა.

— ჩემო დო, კითხვა იცით?— უცებ წამოსცდა აზიზას.

— რას ქვია ვიცი, შენისთანებს ვასწავლი კიდევაც!— ორ კილომეტრზე გასაგონად წაიხურჩულა ქალმა.

— და-ძმობას, ეს ქალაღი წაიკითხე.— შეხედა მეგზოვემ. დედაკაცმა ქალაღი წაიკითხა და იყვირა:

— შე გამოჩერჩეტებულა ბებერო, ჯამაგირს ტყვილა გაძლევენ?!

იყვირა, ცოცხს ფეხი გაქრა და ნეკით აკონწიალებული ვეებერთელა კალათი წაიღო.

საწყალი აზიზა ისე დააინტერესა ამ ქალაღზე დაწერილის საიდუმლოებამ, მისი შინაარსი რომ არ გაეგო, ჯავრით მეორე დღესვე გასასვენებელი გახდებოდა. რომელი მხრიდანაც ეს ქალაღი ჩამოვარდა, ფანჯრის ზევით, მესამე სართულზე აზიზას ახლონაცნობი კაცი ცხოვრობს. ახლა ამ კაცს ეწვია.

აზიზას ნაცნობი სამსახურში წასასვლელად ემზადებოდა და გახამებულ საყელოზე ჰალსტუკს ნასკვავდა. მის ოთახში ისეთი სისუფთავე იყო, მეგზოვეების საერთო საცხოვრებელი მოუწყვიათო, აზიზა იფიქრებდა.

— ჩემო სტეფანე, მისალმების შემდეგვე მიმართა აზიზამ,— თუ ხატრი გაქვს, ეს ქალაღი წამიკითხე.

სტეფანემ ქალაღს გადახედა, თვალები აემღვრა და მეგზოვეს მიახალა.

— ეგლამაკლია, რომ მეგზოვეებმა სისუფთავე მასწავლონ!


— მე არათერს ვასწავლი, სტეფანე-ბატონო, მე მარტო იმის გაგება მაინტერესებს, რა წერია ამ ქალაღზე?

სტეფანე მეორედ გაბრაზდა, მაგრამ აზიზამ აუხსნა, თუ როგორ მოიქცნენ გამვლელები, როცა ეს ქალაღი წაიკითხეს და რატომ დააინტერესა ასე ნაწერის შინაარსის გაგებამ. სტეფანემ როგორც იყო გაიცინა, ქალაღი ხელახლა გადაათვალიერა და თქვა:

— ხომ იცი, ჩემო აზიზ, რომ მე სანიტარული ექიმი ვარ ამ ქალაღზე ლექციას ვწერდი, ზედ მელანი დამედვენთა და რაკი დამესვარა, ძირს გადმოვაგდე. ამ ქალაღზე ის წერია, რომ მოქალაქემ სისუფთავე უნდა დაიცვას...

აზიზას უღვაშებში ჩიეცინა, ექიმის ოთახს თვალი მიმოაგლო, შემდეგ საწერ მაგიდაზე დაწყობილ ხელნაწერ ფურცლებს მიაჩერდა და ამოიოხრა:

— აფსუს, რა სისუფთავეა, სტეფანე-ბატონო, თქვენს ოთახში!



მეხუთე მარშრუტის ტრამვაი. არც დილა, არც შუადღე, ასე, თორმეტის ნახევარია. წარმოდგინეთ, ვაგონში ხალვათობაა, დასაჯდომი ადგილებიც მოიპოვება. კონდუქტორი თავის ადგილზე ზის და დაკუმუნკილ მანეთიანებს ასწორებს. ტრამვაი კი მიიზღაზნება ნელა, ურმულად.

— საკვირველია, — ღიმილით ეუბნება ერთი მგზავრი მეორეს, — ამ მარშრუტისათვის რატომ არის დაწესებული მიმოსვლის ასეთი თავისებური, ნელი ტემპი?

— მაგას მე უბრალოდ ვხსნი, — უპასუხებს მეორე, — ეს მარშრუტი ხომ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების ქალაქს ეკუთვნის, ჰოდა, აი, ფრთხილობს.

— რას უფრთხილდება?

— ახალგაზრდობას, სტუდენტებს. ახტომ-ჩახტომის დროს რომ ვაგონი გაქანებული მიდიოდეს, ხომ უბედური შემთხვევა მოხდება? ამ მარშრუტზე კი ასვლა-ჩამოსვლის უმთავრესად ასეთი წესი არსებობს.

— მე კი მგონია, ამ მარშრუტზე უადგილო ახტომ-ჩახტომი იმიტომია ხშირი, რომ ტრამვაი ნელა დადის!

მოპასუხე კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ დებულების ავტორს და პირიქით ამტკიცებს.

— არა, ჩემო კარგო, ასეთი წესი არავის შემოუღია. თუ ღრმა ანალიზს გავუკეთებთ მოვლენას, მხოლოდ მაშინ შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ვაგონებში ასეთი უწყსრიგო ოთურმა ზოგადი კი არა, შემთხვევითია, კიდევ უფრო კონკრეტულად რომ ვსთქვათ, ეს ზოგიერთი ახალგაზრდის მოხულიგნო გამობტომია და მეტი არაფერი.

— რა ბრძანებაა? განა ახალგაზრდებში და ისიც ამ უბნის ახალგაზრდებში შეიძლება ისეთი ვინმე გამოვიდეს, რომ შეგნებულად დაარღვიოს საზოგადოებრივი წესრიგი?

— მე არ მითქვამს შეგნებულად - მეთქი, მე ვამბობ, შეუგნებლად იქცევა-მეთქი ზოგიერთი.

მაგრამ ამ უცნაურ დიალოგს უცებ კონდუქტორის შეძახილი არღვევს:

— პაპროსს ნუ სწევთ, — აფრთხილებს იგი ბაქანზე მდგომ რამდენიმე ახალგაზრდას, რომელნიც ამ საუბრისა და ტრამვაის სვლის დროს შეუმჩნეველად ამომხტარან ვაგონში და ბაქანზე პაპროსის ბოლის ღრუბლები დაუყენებიათ.

— ნუ სწევთ, ვერა ხედავთ ამ განცხადებას? — უთითებს კონდუქტორი მის გვერდით მიკრულ განცხადებაზე, რომელზედაც კოხტა შრიფტით გამოყვანილია მრავალმეტყველი ტექსტი:

„აქ პაპროსის მოწევა არ შეიძლება“.

ახალგაზრდები პირში დაგუბებულ ბოლს „ბეჭდებდად“ უშვებენ და გადაიხარხარებენ.

— აზრზე ხართ, ტო? — ხითხითებს ერთი, რომელიც ფეხებგაბარჯღვით მისწოლია შემოსასვლელის ქიმს და იქიდან რამდენიმე მეტრის მანძილზე „სპორტულად“ სხავს ნერწყვის „წერტილებს“, — აზრზე ხართ? ჩვენ გვეუბნება.

— დიას, თქვენ გეუბნებით, — განაგრძობს კონდუქტორი, — ვერა ხედავთ ამ წარწერას?

— როგორ ვერა ვხედავთ, ბებოჯან, ბნელა? მანდა სწერია: „აქ არ შეიძლება“, — ჩვენ ხომ მანდ არა ვწევთ?

— არც მანდ შეიძლება!

— რატომ არ შეიძლება, აქ ხომ არა სწერია ეგა? და ერთხმად, გუნდურად იცინიან.

— სირცხვილია, მაგდენი უნდა გესმოდეთ... აიღეთ ბილეთები... — და იმავე წამს მიუბრუნდება გვერდზე მდგომ წყნეთელ მემაწვენს, — მოქალაქე, თქვენ უბილეთო ხართ?

— უბილეთო? — გაიკვირვებს მემაწვენე, — უბილეთო რა ვიქნები? — და ბილეთს აჩვენებს.

— მაშ თქვენ აიღეთ ბილეთები, — კვლავ მიუბრუნდება ეხტიბარგატეხილი კონდუქტორი ახალგაზრდებს. ახალგაზრდებმა პაპროსის წვევა მოითმინეს და ნაწმუკები ვაგონის ბაქანზე დაყარეს.

— ახალგაზრდას დამიხედე, იმის მაგიერ, რომ კულტურულად იქცეოდეს, აი, რას შვრება!

ამ შენიშვნას უცვე მოთმინებიდან გამოჰყავს „შეურაცხყოფილი“ ახალგაზრდები და, როგორც იტყვიან, ისინი „თვალებით სჭამენ“ აბეზარ კონდუქტორს. ბოლოს ქოჩორჩამოფხატული ეუბნება:

— აბა, აბა, მარილს მოუკელი, მლაშე მოგივა.

— რას ხულიგნობ! — მოკლედ მოუპირის კონდუქტორი. აქ კი უცებ ჰეჰა-ჰუხილი იწყება: ქოჩორჩამოფხატულის ღრიანცელი იკლებს ვაგონს.

— ვინა? მე ვარ ხულიგანი? — ყვირის ის და მუშტებს იმარჯვებს.

და, აი, როცა მოთმინებიდან გამოსული კონდუქტორი ზარის დასარეკ ბაგირს ხელს წაატანს, რომ ვაგონი გააჩეროს, ქოჩორჩამოფხატული და მისი ჯგუფი უცებ უკანაბაქანს მიაწყდებიან. ისინი რიგრიგობით ისკუპებენ ძირს, იქიდან ხორხოციით, ღრეჭით ხელს უქნევენ კონდუქტორს და მელიქიშვილის ქუჩას შუაზე გადასჭრიან... ერთ-ერთი ინსტიტუტის მიმართულებით, მაგრამ არც მოქმედებაში და არც სიტყვებში მათ არაფრით ეტყობოდათ, რომ სტუდენტები იყვნენ, ან კი ასეთი უღირსი სტუდენტი განა შეიძლება წარმოდგინოთ?

ვინ არის ის ქოჩორჩამოფხატული?

ზარსადანი

გაზაფხული

ეხტრადაზეა საქ. ხანალო არტიხტი ვ. გოქიაშვილი



გაზაფხულდა, გაზაფხულდა, გვამცნობს ლექსის სათაური... ეს რა ჩიტი მოფრენილა, ხაიდან და ხადაური?

გაზაფხულზე ბაღები და ეხტრადები შენატარან. ზამთარში კი მისი ბინა მხოლოდ დრამის თეატრია!



ეს მე ვარ, ილია ბარქაია!



წინაღმის სიზმრის მოგონებაში იყო ილია, იგონებდა, ებრძოდა გულმეფეწყობას. აი, თითქმის მოიგონა კიდევ, რომ ვილაც გამოძალავს ეწეოდა, ამახინჯებდა საბჭოთა კანონებს. და ის იყო, უნდა შესდგომოდა მინისტრის სახელზე წერილის წერას, რომ სასიამოვნო გრძნობამ შეუღლიტინა და დიპლომა დაუტკბო გაბადრული სახე.

— ხუთწლიანი პასპორტი და ჩემი სატრფო ვახდება.. ჩემი... — ილარიონმა ხელეები მოიფშვინტა, ტაში შემოკრა, სკამიდან წამოიწია, კალმისტარი აიღო და შემოტანილი საბუთისათვის არც კი დაუხედა — ისე წააწერა: „გაეცით ხუთწლიანი პასპორტი“.

— რა გოგოა, ვაი მისი ჭირიმე! — წაილაპარაკა ილიამ, თვალები ქერს მიაპყრო და პაუზა რომ დაამთავრა, მეორე საბუთსაც წაწვენილი ასოებით დააწერა: „ამხ. ქვრივიშვილს. გაეცით ხუთწლიანი პასპორტი“.

ემხზე მოსულმა ფანჯარა გამოაღო, ცივგომბორიდან მონაქროლმა ნიავმა ფრთა შემოჰკრა და „სიყვარულით“ ვახურებული შუბლი გაუფრიალა. ილიამ საპასპორტო მაგიდის უფროსი გამოიძახა და სასწრაფოდ ვ. უ-ს გვარზე ნ-წლიანი პასპორტის გამზადება უბრძანა. ის იყო ილია დიდი ხნის შემოსულ განცხადებების განხილვის აპირებდა, როცა ცხენების მომვლელმა დიმიტრიმ შეაღო მისი კაბინეტის კარები.

— მოვედი, უფროსო!

— ჰო... აბა, ეს შეხვეული ამანათი ხომ იცი სად უნდა წაიღო?..

— არ ვიცი, უფროსო!

— როგორ თუ არ იცი? იმასთან, აი, იმასთან...

— რა ვიცი, უფროსო, ამ საგარეჯოში რამდენი „იმასთანაა“, გვარი მითხარით და გავიგებ.

აბა, რა გამოცდილი ბიჭი იქნებოდა თმაგათეთრებელი ილარიონი, რომ ისე უცებ გვარი ეთქვა. ჯერ მეზობლები ჩამოუყოლა, შემდეგ საცხოვრებელი სახლიც ანიშნა და რაკი მაინც ვერ მიახვედრა, გვერდით გაიხშო და ყურში მეორე სატრფოს მ.მ-ს გვარი ჩაუჩურჩულა, მხარზე ხელი დაარტყა, ხელში რაღაც შეფუთული მისცა და კარში თითქმის ძალად გაიყვანა.

— ახლა კი დროა საქმეს მივხედო, — ჩაილაპარაკა ილიამ, შემოსულ ე. გ-ს ყვირილითა და ჩხუბით შეეგება და ბოლოს მანუგეშებლად ჩაულაპარაკა:

— ნუ გეშინია, სიყვარულო, მაცხოვრე და გაცხოვრებ, აი პატივისცემა როგორ უნდა!

მაგრამ ქალის გული უნდო ყოფილა. გ-მ ცივი უარით უპასუხა ემხზე მოსულ უფროსს და გაბრაზებით კარი გამოიჯახუნა.

მანავურ ღვინოს რაღა შექება უნდა. მისი გემო ცნობილია და რა გასაკვირველია, თუ ემხითა და სიყვარულით გულგახურებულმა კაცმა გასაგრილებლად ორიოდ ლიტრი ზედიზედ გადაკრას? მაგრამ უცნაური ის არის, რომ ღვინო გულს, გაგრილების ნაცვლად, ახურებს ხოლმე და კაცს ზოგჯერ ისეთ ადგილას ამოაყოფინებს თავს, რომ შემდეგ სადარდებლად უხდება. სწორედ ასე მოუვიდა ილია ბარქაიას. ფეხის წვერებზე შემდგარი მანავური ღვინით სავსე სამ-ლიტრიანი ხელში, ის გომბორში მოხვდა. ვ. უ-ს სახლის კარებს რომ მიუახლოვდა, სასწრაფოდ გამზადებული პასპორტი მეორე ხელში დაიჭირა და კარებზე ფეხით მიუკაუნა. იქიდან ღამის 3 სა-

ათზე გამოსულმა კი — გომბორის მალაზიის მცველი მუსა ისმაილ-ოღლი კინაღამ საიქიოს გაგზავნა.

— არ მუშაობთ, სადღაც დაეთრევეთ, სიფხიზლე ვაკლიათ. — ჩასძახოდა „ერთგული“ მუშაკი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აკვირვებულ და შეშინებულ მცველს ყელში ხელებს უჭერდა, — ეს მე ვარ, მილიციის უფროსი ბარქაია, იცოდეთ! — ყვიროდა განრისხებული ილია.

* * *

რაღაც უჩვეულოდ დაიწყო ის დღე საგარეჯოს რაიმილიციაში: მილიციის უფროსი ილია ბარქაია, რომ იტყვიან ცეცხლი დაანთო — სწორედ ისე იქცეოდა.

— საბუთი, გესმით? საიდუმლო საბუთი რა იქნა? — ყვიროდა შეშფოთებული უფროსი, მაგიდაზე ხელს ურტყამდა და სათითაოდ გამოძახებულ მუშაკებს რისხვას ატეხდა. ზოგმა ისიც კი ჩაილაპარაკა „საბუთი თქვენთან იყო, ჩვენ რა შუაში ვართო“, მაგრამ განრისხებულ უფროსს პირში ხომ არ ეტყოდნენ ამ ანბანურ ქეშმარიტებას? ილიამ მთელი უჯრები გადააქოთა. თქვენ წარმოიდგინეთ, დაიჩოქა კიდევ, მაგრამ საბუთი ცამ ჩაყლაპა თუ ვილაცის ბინძურმა ხელმა — არავინ იცოდა.

დოცლაბები ხართ, არ იცით დღევანდელი მდგომარეობა, არ გესმით საიდუმლო საბუთების შენახვის მნიშვნელობა. — არ მშვიდდებოდა მომთხონი უფროსი. ეს იმ დღეს იყო, მაგრამ მალე თვითონაც დაივიწყა.

და, აი, ამ რამდენიმე ხნის წინ საპასპორტო მაგიდის უფროსმა უცებ შეიხედა უფროსის კაბინეტში.

— რა გინდა? — უმაღლე გაეხშიანა ილია.

— ვიპოვე!

— ვინ იპოვე? ქურდი, ავაზაკი, სპეკულანტი?

— არა, დაკარგული საიდუმლო საბუთი.

— მე რე, შენთან რა უნდოდა?

— მეც ეგ მიკვირდა სანამ თქვენს რეზოლუციას ვნახავდი, მაგრამ ვნახე და გამოირკვა, რომ იმ საიდუმლო საბუთისათვის, სადაც ერთ-ერთი მტაცებლის შესახებ არის გადმოგზავნილი საჭირო ცნობა, თქვენ ხუთწლიანი პასპორტის გაცემის შესახებ დაგიდევიათ რეზოლუცია და ჩემთან გადმოგზავნიათ.

— რას მეუბნები, მართლა?

— დიახ, მართლა. ასეთივე რეზოლუცია დაგიდევიათ პატარძელელი უსტიაშვილის განცხადებისათვის, რომელიც საკუთარი ძროხის ქურდის მოძებნაში დახმარებასა გთხოვდათ. აი, თვითონ ნახეთ!

ილიამ საიდუმლო საბუთი ხელიდან გამოსტაცა და გაკვირვებულმა ჩაილაპარაკა:

— ძროხის ქურდი?!. პასპორტი... საიდან სადაო... — ყურებს არ დაუჯერა და რეზოლუცია ჩაიკითხა.

„გაეცით... ხუთწლიანი პასპორტი... ბარქაია...“


— ეს კი მე ვარ, ილია ბარქაია, მაგრამ... მიხუმრია, ბიჭო, მიხუმრია! — და ილიამ უგემურად გადაიხარხარა.

უცნაური ხუმრობა სკოდნია ილია ბარქაიას!





ამ წარწერებს ჩვენი განმარტებები არ სჭირდება. დაკვირვებით წაიკითხეთ, ამხანაგებო, და თქვენ თვითონ გაგიკვირდებათ:



იჩქარეთ, ვინაც ვსუტო მხატვრული თმის შეხვევა — საპარიკმაზერო მღებარეობს ელბაქიძის დაღმართზე.




ყოფაცხოვრების სარემონტო კანტორა! — ამაზე უკეთეს საქმეს აბა ვინ მოიგონებს... თურმე ყოფაცხოვრების გარემონტებად შეხაძლებელი ყოფილა...



თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებაც მეტად მაღალკულტურულია: ვინაიდან მის მასობრივ ბიბლიოთეკას ვაჟაფშაველას სახელი ამწვენებს. როგორც ხედავთ, მისმა მეცხვეურებმა არა მარტო მშობლიური, რუსული ენაც არ შეიბრალებს.

ნიტკორაბჰონდობი




ეს რა ხიშიერი ლაბორატორიაა!? გულისხმიერი კაციც კი ვერ მიხვდება!

დაუცხრომლად ვაძლიეროთ და ვამახვილოთ პარტიისა და ხალხის სიფხიზღე საბჭოთა სახელმწიფოს მტრების ხრიკებისა და თინების მიმართ.

ლ. პ. ბერიძე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა
თბილისი 61.53
31/IV



ჩვენი ყოველი სიტყვა და საქმე მას ემსახურება გულზე ეხოზი, ახუერ იცვალა ხახე და მაინც უცვლელი დარჩა მისი მხედობა.